

UDC 336.7

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-39-47>

„მწვანე“ პროექტები და მასთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი

მზევინარ ნოზაძე	საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: nozadzemzevinar11@gtu.ge
მედეა ჭელიძე	საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: m.chelidze@gtu.ge
მაია კაპანაძე	ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: maia_kap@mail.ru
ნელი სესაძე	ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: n.sesadze@seu.edu.ge

რეცენზენტები:

თ. ბერიძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: t.beridze@gtu.ge

ი. მამალაძე, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: I.mamaladze@gtu.ge

ანოტაცია. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, „მწვანე“ დაფინანსება წარმოადგენს მიმდინარე, და ამავე დროს, საკმაოდ აქტუალურ ტენდენციას, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესპროცესებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების დანერგვის აუცილებ-

ლობასთან, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობასა და მათ აქტიურ გავრცელებასთან.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა და „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლა, თავის მხრივ, მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. გარემოსდაცვითი და დადებითი სოციალური ეფექტის მქონე პროექტების დაფინანსებისა და განხორციე-

ლების პროცესებში აქტიურ მონაწილეებს სწორედ სააქციო საზოგადოებები (ემიტენტები) და ბანკები წარმოადგენენ. აღნიშნული სუბიექტებისა და მათი „მწვანე“ ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებაზე, აგრეთვე ბიზნესის პასუხისმგებლიანი საქმიანობის საკითხების შესწავლა განაპირობებს კვლევის აქტუალურობას.

ნაშრომში ცენტრალური ადგილი ეთმობა მწვანე ობლიგაციების გამოშვებასა და მწვანე სესხების გაცემასთან დაკავშირებული პრინციპების განხილვას და ინვესტორებისთვის მწვანე ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებული უპირატესობების განსაზღვრას.

კვლევის მიზანია მწვანე პროექტების განხორციელების ფინანსური ინსტრუმენტების – მწვანე ობლიგაციების, მწვანე სესხების, მწვანე იპოთეკის პრაქტიკული ღონისძიებების შედარებითი ანალიზის განხორციელება

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; მწვანე პროექტები; მწვანე ობლიგაციები; მწვანე სესხები.

შესავალი

დღეისათვის, მწვანე დაფინანსება წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის ფორმირების განუყოფელ კომპონენტს, როგორც გლობალურ, ისე ცალკეული ქვეყნების დონეზე.

სახელმწიფო ბიუჯეტი ტრადიციულად იყო მწვანე ინფრასტრუქტურის დაფინანსების მნიშვნელო-

ვანი წყარო. თუმცა, მდგრადი განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შემოღება და გავრცელება, ასევე ფართომასშტაბიანი კერძო ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა საფინანსო და საკრედიტო ინსტიტუტების მონაწილეობით.

მწვანე პროექტების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ტაქსონომიით. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი პროექტების სტანდარტები და მწვანე ინსტრუმენტების გამოშვება ძირითადად განისაზღვრება კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (International Capital Market Association – ICMA) მიერ შემუშავებული მწვანე ობლიგაციების პრინციპებით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის Climate Bonds Initiative (CBI) მიერ შემუშავებული კლიმატის ობლიგაციების ტაქსონომიით.

ძირითადი ნაწილი

მწვანე ფინანსების კონცეფცია გლობალურ დონეზე 15 წელზე მეტია ვითარდება და უკავშირდება პარიზის კლიმატის შეთანხმების მიზნების განხორციელებას, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს – კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ღონისძიებები, ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია, მდგრადი ქალაქები და თემები, ოკეანისა და ხმელეთის ეკოსისტემების მდგრადი გამოყენება და სხვა.

მწვანე ფინანსები არის კლიმატის, გარემოსა და ეკოლოგიის ცვლილების სფეროში პროექტების დაფინანსების ინსტრუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად ასევე გამოიყენება ლურჯი ფინანსები (Blue finance),

რომელიც ძირითადად მოიცავს წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვას, ოკეანის პლასტიკური ნარჩენებით დაბინძურების შემცირებას, საზღვაო ეკოსისტემის აღდგენას და სხვ.

მწვანე პროექტების დაფინანსების ერთ-ერთი გავრცელებული ინსტრუმენტი მწვანე ობლიგაციებია. მწვანე ობლიგაციების მახასიათებლების განხილვამდე მიზანშეწონილად მოგვაჩნია განსხვავების აღნიშვნა მწვანე და ჩვეულებრივ (ტრადიციულ) ობლიგაციებს შორის. ძირითადი განსხვავება აღნიშნულ ობლიგაციებს შორის არის მათი დანიშნულება. **მწვანე ობლიგაციების რეალიზაციით მოზიდული სახსრები ხმარდება გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებას და მიეკუთვნება ESG – Environmental, Social and Governance სახეობის ობლიგაციას.** ამასთანავე, ამ სახეობის სასესხო ფასიანი ქაღალდები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

როგორც ცნობილია, 2007 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა (European Investment Bank - EIB) და მსოფლიო ბანკმა, ერთ-ერთმა პირველებმა გამოუშვეს და ფინანსურ ბაზარზე განათავსეს მწვანე ობლიგაციები. 2013 წლის მარტში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ გამოშვებული მწვანე ობლიგაციები გამოშვებიდან ერთ საათში გაიყიდა. ეს იყო მართლაც უპრეცედენტო მოვლენა ფინანსური ბაზრების ისტორიაში, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელებისა და მისი პოპულარობის ზრდას.

მწვანე პროექტებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების – ობლიგაციების გამოშვება (ემისია) ხორციელდება მთავრობების, კომპანიებისა და განვითარების ბანკების მიერ, რომლებიც დაინტერესებული არიან მწვანე პროექტების განვითარებით და მისი მასშტაბების ზრდით. თუმცა, მწვანე ობლიგაციების გამოშვება და კაპიტალის ბაზარზე განთავსება ითვალისწინებს დამატებით სავალდებულო პირობებს ემიტენტი კომპანიებისთვის. მათ უნდა აჩვენონ, თუ როგორ აკმაყოფილებს ეს პროცესი საყოველთაოდ მიღებულ დასაშვებობის კრიტერიუმებს, როგორცაა კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის მწვანე ობლიგაციის პრინციპები (International Capital Market Association's Green Bond Principles).

უნდა აღინიშნოს, რომ **მწვანე ობლიგაციების პრინციპები (Green Bond Principles - GBP) არ არის სავალდებულო**, მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, რომელიც შეიცავს დებულებებს ინფორმაციის გამჭვირვებისა და გამჭვირვალობის შესახებ.

მწვანე ობლიგაციების პრინციპები მოიცავს რეკომენდაციას, რომ ემიტენტებს ჰქონდეთ ინფორმაციის გამჭვირვების მკაფიო პროცესი, რომელიც ინვესტორებს, ბანკებს, ანდერრაიტერებს, ორგანიზატორებს, განთავსების აგენტებს და სხვებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი მოცემული მწვანე ობლიგაციების მახასიათებლების გასაგებად [1].

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების აუცილებლობიდან გამომდინარე, თანამედროვე ფინანსურ ბაზრებზე არსებობს ობლიგაციების ფართო სპექტრი, თვით მწვანე ობლიგაციების კლასიფიკაცია მოიცავს 4 ძირითად სახეობას: 1. სტანდარტული შემოსავლის მწვანე ობლიგაცია (Standard Green Use of Proceeds Bond); 2. მწვანე შემოსავლის ობლიგაცია (Green Revenue Bond); 3. მწვანე პროექტის ობლიგაცია (Green Project Bond); 4. მწვანე უსაფრთხო ობლიგაცია (Secured Green Bond).

მწვანე ობლიგაციების სანდოობასთან დაკავშირებით ინვესტორებისთვის საინტერესოა პასუხი კითხვაზე - ნამდვილად განახორციელებს თუ არა ემიტენტი მოზიდული სახსრების ინვესტირებას გარემოსდაცვითი ღონისძიებების დასაფინანსებლად. მწვანე ობლიგაციები დამოწმებულია მესამე მხარის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოზიდული თანხების გამოყენება მათი დანიშნულებისამებრ. სერტიფიცირების პროცესი უზრუნველყოფს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხს, რაც ითვალისწინებს ემიტენტის მხრიდან ინფორმაციის გასაჯაროებას, რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა მოზიდული სახსრები, რათა ინვესტორები დარწმუნდნენ, რომ პროექტები ნამდვილად გარემოსდაცვითი დანიშნულებისაა.

მიუხედავად იმისა, რომ გარე ზედამხედველობის მიდგომა და მასშტაბი შეიძლება განსხვავდებოდეს ბაზრის მონაწილეებს შორის, ასეთი პრაქტიკა უდავოდ ამცირებს ინფორმაციის ასიმეტრიას ემიტენტებსა და ინვესტორებს შორის [2].

პარიზის შეთანხმების მიზნების შესაბამისი პროექტების განხორციელებისას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კლიმატის ცვლილების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია ემიტენტებმა იხელმძღვანელონ კლიმატის გარდამავალი ფინანსური სახელმძღვანელოთი (Climate Transition Finance Handbook)

მწვანე ობლიგაციების პრინციპების შესასრულებლად განსაზღვრულია შემდეგი 4 კომპონენტის შესრულება:

- მოზიდული სახსრების გამოყენება;
- პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესი;

- მიღებული შემოსავლების მართვა;
- ანგარიშვალდებულება.

მწვანე და ჩვეულებრივი ობლიგაციების შედარებისას თვალსაჩინო ხდება მწვანე ობლიგაციების შემდეგი უპირატესობები:

- მწვანე ობლიგაციების გამოშვებით ემიტენტები იღებენ უამრავ მნიშვნელოვან პრივილეგიას, კერძოდ, გაუმჯობესებული იმიჯი, ახალი ინვესტორების მოზიდვა და პროექტების დაფინანსებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

- ზოგიერთი ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებს მწვანე ობლიგაციებზე გარკვეული შეღავათების დაწესებას და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. ეს, პირველ რიგში, მოიცავს ობლიგაციებიდან მიღებულ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებას.

- დღეს ინვესტორები არ არიან დაინტერესებული მხოლოდ ობლიგაციის ფლობის შედეგად მოსალოდნელი სარგებლის (კუპონური შემოსავალი) მიღებით, მათ ასევე სურთ მიიღონ სხვა სოციალური ეფექტი და შეცვალონ სამყარო უკეთესობისკენ, აირჩიონ ის პროექტები, რომელთა ღირებულებებსა და მისიას ისინი იზიარებენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მწვანე პროექტების სუბსიდირებისას გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათი, რაც ემსახურება მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარების სტიმულირებას. ასეთია სახელმწიფო სუბსიდია, რომელიც გაცემულია მწვანე ობლიგაციებზე კუპონური გადახდისა და მწვანე სესხების პროცენტის თანხის ნაწილის ანაზღაურებისათვის. დღევანდელი გლო-

ბალიზებული ეკონომიკის საფუძველი ფინანსური ბაზრებია, რომელთა მეშვეობითაც ბანკები და ინვესტორები ანაწილებენ კაპიტალს სხვადასხვა სექტორში. დღეს ინვესტირებული კაპიტალი ქმნის ხვალინდელ ეკოსისტემებს და წარმოებისა და მოხმარების მომავლის მოდელს [3].

ცნობილია, რომ მწვანე პროექტების დაფინანსების ინსტრუმენტებს მწვანე ობლიგაციებთან ერთად მიეკუთვნება მწვანე სესხები და მწვანე იპოთეკა.

მწვანე სესხი მწვანე ობლიგაციების მსგავსია, რადგან აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების არსი ვლინდება მოზიდული სახსრების გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაში. თუმცა, მწვანე ობლიგაციების გამოშვება დაკავშირებულია გამოშვების დიდ მოცულობასთან, ობლიგაციების განთავსების განსაკუთრებული წესების დაცვასთან და მეტ ტრანზაქციულ დანახარჯებთან. მწვანე სესხები და მწვანე ობლიგაციები ეფუძნება განსხვავებულ, მაგრამ თანამიმდევრულ პრინციპებს: მწვანე სესხის პრინციპებს და მწვანე ობლიგაციის პრინციპებს (Green Bond Principles - GBP), განსაზღვრულს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის ასოციაციის მიერ. კიდევ ერთი საინტერესო თვისება, რაც დამახასიათებელია აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, არის ის, რომ მწვანე ობლიგაციების და მწვანე სესხების შემოსავლის 100% უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ ზოგადად დადგენილი მწვანე აქტივობებისთვის.

მწვანე ობლიგაციის პრინციპების მსგავსად, მწვანე სესხების პრინციპებს (Green loan Principles – GLP) აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, რომელიც უზრუნველყოფს სიცხადეს და თანამიმდევრულობას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მწვანე სესხი, ძირითა-

დად დაფუძნებული შემოსავლების გამოყენებაზე, როგორც ეს აღწერილია დაფინანსების დოკუმენტებში [4].

ბინათმესაკუთრეთა მთლიან ხარჯებში ხშირად მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ელექტროენერგიის გადასახადები. ენერგოეფექტური იპოთეკა (Energy-efficient mortgages (EEMs), რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ მწვანე იპოთეკას, უზრუნველყოფს ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას ენერგოეფექტური განახლების ღირებულების დაფინანსების მიზნით როგორც ახალაშენებულ, ისე უკვე არსებულ სახლებში. ენერგოეფექტური იპოთეკა გათვალისწინებულია სახლის მფლობელისათვის კომუნალური გადასახადების შესამცირებლად.

კომუნალური დანაზოგის ღირებულებას კრედიტორი იყენებს მსესხებლისთვის უფრო ხელსაყრელი დაფინანსების პირობების უზრუნველსაყოფად, როგორცაა ვალი-შემოსავლის უკეთესი საკვალიფიკაციო თანაფარდობა [5].

მწვანე პროექტების განხორციელების ეფექტიანობის შესაფასებლად ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც ცნობილია როგორც მწვანე აქტივების თანაფარდობა (The Green Asset Ratio - GAR). კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული მაჩვენებელი, რათა აკონტროლონ თავიანთი ინვესტიციები მწვანე აქტივებში სხვა ინვესტიციებთან მიმართებაში და შეადარონ შედეგები, რათა ზუსტად შეაფასონ მათი საქმიანობა გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების მიმართულებით. 2024 წელს ევროკავშირის დაახლოებით 150 ბანკს აქვს ვალდებულება გაამჟღავნოს თავისი მწვანე აქტივების კოეფიციენტი 2023 ფინანსური წლის მიხედვით.

ეს გულისხმობს, რომ ბანკებმა უნდა წარმოადგინონ რაოდენობრივი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რამდენად შეესაბამება მათ მიერ დაფინანსებული საქმიანობა ევროკავშირის ტაქსონომიით განსაზღვრულ მდგრადობას [6].

ეს სესხები აღიარებული და პოპულარულია მთელ მსოფლიოში მათი აშკარა გარემოსდაცვითი სარგებლის გამო. ბანკები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები გასცემენ მწვანე სესხებს, რათა კომპანიებმა შეძლონ მწვანე პრაქტიკის დაწერვა სამუშაო პროცესებში. ვინაიდან ეს სესხები პროექტზეა დაფუძნებული, დაფინანსებაზე განაცხადის მისაღებად კომპანიამ დეტალურად უნდა აღწეროს იდეა და აჩვენოს, რომ ის დადებით გავლენას მოახდენს გარემოზე.

მწვანე სესხების მიღება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ მდგრად სფეროებში, როგორცაა განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, ნახშირბადის შემცირება, დაბინძურების პრევენცია, ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და ა.შ. შესაბამისად, ყველა კომპანიას არ შეუძლია მიმართოს ამ დაფინანსებას.

მწვანე სესხების პრინციპები. იმის დასადგენად, შეუძლია თუ არა ბიზნესს მიმართოს მწვანე სესხს, რამდენიმე მსესხებელმა ასოციაციამ, მათ შორის სასესხო ბაზრის ასოციაციამ და სესხის სინდიკატისა და სავაჭრო ასოციაციამ, შეიმუშავა მწვანე სესხის პრინციპები (GLP).

GLP არის სესხის გაცემის დეტალური აღწერა, რომელიც მიზნად ისახავს პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. მწვანე სესხის მახასიათებლები მოიცავს:

- სახსრების გამოყენება. მწვანე სესხი უნდა გაიცეს უფლებამოსილ მსესხებლებზე და მხოლოდ მწვანე პროექტებისთვის. მწვანე პროექტის ან მწვანე კომპანიის განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს ბიზნესსექტორისა და ქვეყნის მიხედვით.

- პროექტების შეფასება და შერჩევა. მსესხებელმა მკაფიოდ უნდა განაცხადონ თავიანთი პროექტების გარემოსდაცვითი მიზნები და გეგმები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვისათვის.

- სახსრების მართვა. აღრიცხვის პროცესი უნდა იყოს ფორმალური და ხელი შეუწყოს სახსრების ხარჯვის კეთილსინდისიერებას.

- ანგარიშვალდებულება. მსესხებელმა უნდა მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ.

რატომ არის საჭირო მწვანე სესხების შეფასება? თუ ემიტენტს/მსესხებელს სურს დააფინანსოს თავისი მწვანე პროექტები და მკაფიოდ გამოხატოს მისი გარემოზე დადებითი ზემოქმედება, მას შეუძლია დაასახელოს თავისი დაფინანსების ვალდებულებები, როგორც მწვანე.

მწვანე იპოთეკა არის სესხის სახეობა, რომელიც გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად შემცირებული საპროცენტო განაკვეთით, მინიმალური წინასწარი გადახდით და რეგისტრაციისთვის უფრო ხელმისაწვდომი პირობებით. რა თქმა უნდა, ყველა საცხოვრებელი არ არის შესაბამისობაში მწვანე იპოთეკური პროგრამის მოთხოვნებთან. შერჩეული საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვაზე. მსგავსი ზომები ხელს უწყობს მყიდველს უპირატესობა მიანიჭოს ეკოლოგიურად სუფთა სახლს,

ხოლო დეველოპერს - შეამციროს ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი ატმოსფეროში.

ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ მწვანე პროექტების დაფინანსების ფინანსური ინსტრუმენტი – მწვანე ობლიგაცია იყო დაფინანსების თავდაპირველი ინსტრუმენტი და გამოშვებისა და მიმოქცევის მასშტაბებით იყო საკმაოდ პოპულარული ფინანსური ინსტრუმენტი. თუმცა, ბოლო პერიოდში საკმაოდ სწრაფად გაიზარდა მოთხოვნა მსესხებლების მიერ მწვანე სესხებზე.

ამჟამად, **33 მლრდ აშშ დოლარის მწვანე სესხებიდან მხოლოდ 1,6 მლრდ აშშ დოლარი მოდის განვითარებად ქვეყნებზე. მაგრამ ბაზარი სწრაფად იზრდება და გადაჭარბებს მწვანე ობლიგაციების ბაზრის დინამიკას უახლოეს მომავალში .**

ცნობილია, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მწვანე პროექტების განხორციელება და დაფინანსება ხორციელდება მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის და ევროკავშირის დახმარებით.

ევროპული მწვანე გარიგების მეშვეობით ევროკავშირი მიზნად ისახავს ევროპის ეკონომიკა მდგრადი და ინკლუზიური გახადოს [8].

ევროკავშირთან ერთად აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია ევროპის საინვესტიციო ბანკის როლიც, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ფინანსური ინსტრუმენტების - მწვანე ობლიგაციების ემისია.

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB – European Investment Bank) არის მნიშვნელოვანი პარტნიორი ამ ახალი ზრდის სტრატეგიაში და წამყვან როლს ასრულებს პარიზის შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში [8].

გლობალურ დონეზე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენება კრედიტის მწვანედ განსაზღვრისთვის წარმოადგენს გარკვეულ უპირატესობას ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის, აკონტროლონ თავიანთი საკრედიტო პორტფელის მწვანე წილი მათი მდგრადობის მიზნებთან მიმართებით.

დასკვნა

- მიუხედავად იმისა, რომ მწვანე საფინანსო ბაზრის საწყისი აქცენტი იყო ობლიგაციების ემისია, შემდეგ ასევე დიდი გავრცელება და პოპულარობა პოვა მწვანე სესხებმა, მათ შორის მწვანე იპოთეკამ. თუმცა, ამჟამად მწვანე სესხების ბაზარი სწრაფად ვითარდება და მოიცავს დაფინანსების ხელმისაწვდომობას პოტენციური მსესხებლების ფართო სპექტრისთვის, როგორცაა მწვანე დაფინანსების საკრედიტო სახსრები ან მიწოდების ჯაჭვის დაფინანსება.

- დღეისათვის მწვანე ობლიგაციები პოპულარული საინვესტიციო ინსტრუმენტია მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, როგორცაა, მაგალითად, საპენსიო ფონდები, რომლებსაც სურთ მდგრად მომავალზე გადასვლას დაუჭირონ მხარი.

- ახალი ინსტრუმენტების დანერგვა, ისევე როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტაცია განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების პირობებთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწვანე ფინანსური ინსტიტუტის განვითარებაში.

- ამასთანავე, მწვანე საფინანსო ბაზარს სჭირდება მრავალმხრივი მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ხელისუფლებათა მიერ, როგორცაა ინვესტორებისთვის ობლიგაციე-

ბის შემოსავლის შეღავათიანი საგადასახადო პირობების დაწესება, ხოვნების დაწესება, სხვადასხვა კომპანიის მოზიდვა მწვანე პროექტების დასაფინანსებლად.

მწვანე პროდუქტების მინიმალური წილის მოთ-

ლიტერატურა

1. Green Bond Principles. (2021) Retrieved from: <https://www.icmagroup.org/sustainable-finance/the-principles-guidelines-and-handbooks/green-bond-principles-gbp/>
2. Fatica, S., Panzica, R., Fatica, S. and Panzica, R. (2021). Green bonds as a tool against climate change? Retrieved from: <https://joint-research-centre.ec.europa.eu/scientific-activities-z/sustainable-finance/publications-sustainable-finance-en>
3. What You Need to Know About Green Loans. (2021). Retrieved from: <https://www.worldbank.org/en/news/feature/2021/10/04/what-you-need-to-know-about-green-loans>
4. Sustainability, Green and Impact Syndications. (No date). Retrieved from: <https://www.ifc.org/en/what-we-do/sector-expertise/syndicated-loans-and-mobilization/sustainability-green-and-impact-syndications>
5. Energy-Efficient Mortgages. Retrieved from: <https://www.energy.gov/energysaver/energy-efficient-mortgages>
6. What is the Green Asset Ratio (GAR)? What does it mean for banks? Retrieved from: <https://www.greenomy.io/blog/green-asset-ratio-what-it-means-for-banks>
7. Platform on Sustainable Finance. Retrieved from: https://finance.ec.europa.eu/sustainable-finance/overview-sustainable-finance/platform-sustainable-finance_en

UDC 336.7

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-39-47>

„Green“ Projects and Comparative Analysis of Related Financial Instruments

Mzevinar Nozadze	Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: nozadzemzevinar11@gtu.ge
Medea Chelidze	Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: m.chelidze@gtu.ge
Maia Kapanadze	Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: maia_kap@mail.ru
Neli Sesadze	Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: n.sesadze@seu.edu.ge

Reviewers:

T. Beridze, Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: t.beridze@gtu.ge

I. Mamaladze, Professor, Faculty Of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU

E-mail: I.mamaladze@gtu.ge

Abstract. At the present stage of development of socio-economic relations, green financing is a relevant trend, which is associated with the need to implement environmental measures into business processes, with the emergence of new financial instruments and their active distribution.

Achieving the Sustainable Development Goals and the transition to a green economy, in turn, require significant financial resources. Joint-stock companies (issuers) and banks are active participants in the processes of financing and implementing projects that have an environmental and positive social effect. The influence of the mentioned entities and their „green“ financial instruments on the effective implementation of environmental measures, as well as the study of issues of responsible entrepreneurship determine the relevance of the study.

The article focuses on the principles of issuing green bonds and green loans, as well as the benefits of owning green bonds for investors.

The purpose of the study is to conduct a comparative analysis of financial instruments for the implementation of „green“ projects - green bonds, green loans, green mortgages.

Keywords: Green bonds; Green loans; Green projects; Sustainable development.

განხილვის თარიღი 24.09.2024

შემოსვლის თარიღი 30.09.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2024